

გაერთიანების

80

რეკომენდაცია

2021

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი – 80

**მართლწერის 80 რეკომენდაცია
მედიისათვის**

**თბილისი
2021**

რეკომენდაციებზე მუშაობდნენ:

თეა ზურჭულაძე
ქეთევან დათუკიშვილი
თამარ ვაშაკიძე (რედაქტორი)
მაკა ლაზარტყავა
ვახტანგ მაღრაძე
თეა ტეტელოშვილი
ნინო ჯორბენაძე

რეცენზენტები: **გიორგი გოგოლაშვილი**
ვაჟა შენგელია

ტექნ. რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**
ოპერატორი – **რუსუდან რატიანი**

ISBN

2021 წელს თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ მედიისათვის მოამზადა 80 რეკომენდაცია ყველაზე ხშირად გამოვლენილი მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსურ-სტილისტიკური შეცდომების გათვალისწინებით.

„რეკომენდაციებში“ შეცდომები გასწორებულია ორთოგრაფიულ ლექსიკონებში ტრადიციულად მიღებული [და არა], [კი არა] აღნიშვნების მიხედვით.

პირობითი ნიშნები

[და არა...]: სწორი ფორმის მომდევ-
ნო უმართებულო ვარიანტი

[...კი არა]: სწორი ფორმის წინამავა-
ლი უმართებულო ვარიანტი

(//...): დასაშვები ფორმები

/ : სიტყვათშეხამებათა ცვალებადი
წევრები

ქართული ანბანი

ა	ან	ს	სან
ბ	ბან	ტ	ტარ
გ	გან	უ	უნ
დ	დონ	ფ	ფარ
ე	ენ	ქ	ქან
ვ	ვინ	ღ	ღან
ზ	ზენ	ყ	ყარ
თ	თან	შ	შინ
ი	ინ	ჩ	ჩინ
კ	კან	ც	ცან
ღ	ღას	ძ	ძილ
მ	მან	წ	წილ
ნ	ნარ	ჭ	ჭარ
ო	ონ	ხ	ხან
პ	პარ	ჯ	ჯან
ჟ	ჟან	ჰ	ჰაე
რ	რაე		

რეკომენდაცია 1-ელი

ადგილი აქვს – ეს შესიტყვება რუსულის კალკია.

[ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას კი არა] **ხდება ბოროტმოქმედება**

[ადგილი აქვს შეხვედრებს კი არა] **ეწყობა / იმართება შეხვედრები**

[ადგილი აქვს სიკვდილიანობის შემთხვევებს კი არა] **არის სიკვდილიანობის შემთხვევები**

[ადგილი აქვს წესრიგის დარღვევას კი არა] **ირღვევა წესრიგი**

მაგრამ მართებულა: ყველაფერს თავისი ადგილი აქვს...



რეკომენდაცია მე-2

აკეთებს – რაიმეს ქმნის შრომით; საქმიანობს. მაგ., დურგალი მაგიდას **აკეთებს**; ხელოსანი სამუშაო იარაღს **აკეთებს**, მაგრამ უმართებულოა: კარგი *ფილმი გააკეთა*; კარგი *სიმღერა / პიესა... გააკეთა*. უნდა იყოს: კარგი **ფილმი გადაიღო (შექმნა)**; კარგი **სიმღერა / პიესა... დაწერა (შექმნა)**. გავრცელებულია აგრეთვე შემდეგი სახის შესიტყვებანი: მან კონკურენტებს *შეთავაზება გაუკეთა*; მინისტრმა *შეხსენება გააკეთა*, რომ მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას; მეორეჯერ *გაუკეთა შეთავაზება*; საჭიროა *გავაკეთოთ ბოიკოტირება* და მისთ. უნდა იყოს: მან **შესთავაზა**; მინისტრმა **შეახსენა**; მეორეჯერ **შესთავაზა**; საჭიროა (მოვაწყოთ) ბოიკოტი.



რეკომენდაცია მე-3

ალერგია (ალერგიის^ა) – თანამედროვე ქართულში გავრცელებულია შემდეგი სახის შესიტყვება: საკვებმა / წამალმა... *ალერგია მისცა*. უნდა იყოს: საკვებმა / წამალმა... **ალერგია გამოიწვია**.



რეკომენდაცია მე-4

ამაყი – თანამედროვე მეტყველებაში დასტურდება შემდეგი სახის შესიტყვებანი: *მე ამაყი ვარ*, რომ ქართველმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს; *მე ამაყი ვარ*, რომ ჩვენ ასეთი პოეტები გვყავს და მისთ. **ამაყი ვარ** ტიპის სიტყვათშეხამებანი (**მე ჯიუტი / ქედმაღალი / მორიდებული... ვარ**) მართებულია მაშინ, როდესაც გამოიხატება ადამიანისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის თვისება (სიჯიუტე, ქედმაღლობა, მორიდებულობა...). ზემოთ აღნიშნულ და მსგავს შემთხვევებში კი უნდა იყოს: **ვამაყობ / მემამყება**, რომ ქართველმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს; **ვამაყობ / მემამყება**, რომ ჩვენ ასეთი პოეტები გვყავს.



რეკომენდაცია მე-5

ანუ – იხმარება მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების ან წინადადებების დასაკავშირებლად, მაგ.: „ქვებს შუა ათასობით ეწყობო თევზის პაწაწინა კვერცხები, **ანუ** ქვირითი“ (ი. გოგებ.) და მისთ. ზეპირ მეტყველებაში ხშირად საუბარს იწყებენ **ანუ** კავშირით, რაც დაუშვებელია, მაგ.: *ანუ* დღეს გიამბობთ XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ვითარების შესახებ...



რეკომენდაცია მე-6

აქლერებს – ჟღერის ხმას, სასიამოვნოდ მოსასმენ ბგერებს გამოსცემს (ძირითადად – საკრავი). უმართებულოა ამ ზმნის გამოყენება **აღნიშნა, განაცხადა, თქვა** ფორმების მნიშვნელობით, მაგ., შეხვედრაზე მინისტრმა *გააქლერა*, რომ ამ საკითხს განიხილავდა. უნდა იყოს: შეხვედრაზე მინისტრმა **აღნიშნა / განაცხადა / თქვა**, რომ ამ საკითხს განიხილავდა, მაგრამ მართებულა: სასიამოვნოდ **აქლერებს** სიმებს...



რეკომენდაცია მე-7

არავითარ შემთხვევაში – ითხოვს ორმაგ უარყოფას. თანამედროვე მეტყველებაში დასახელებული შესიტყვება ხშირად **არ** ნაწილაკის გარეშე გამოიყენება, რაც უმართებულოა: *არავითარ შემთხვევაში* დაეთანხმება, *არავითარ შემთხვევაში* წავა და მისთ. უნდა იყოს: **არავითარ შემთხვევაში არ** დაეთანხმება, **არავითარ შემთხვევაში არ** წავა...



რეკომენდაცია მე-8

არც ერთი... არც მეორე / მესამე... [და ა რ ა არცერთი... არც მეორე / მესამე...] – თუ **არც ერთს** მოსდევს **არც მეორე / მესამე...**, მაშინ **არც ერთი** დაიწერება ცალ-ცალკე: **არც ერთი** იყო მზად და **არც მეორე; არც ერთს** მიუღია მონაწილეობა და **არც მეორეს** და მისთ. ყველა სხვა შემთხვევაში **არცერთი** დაიწერება ერთად: **არცერთი** თქვენგანი არ გამოცხადდა; **არცერთი** არგუმენტი არ იყო მისაღები...



რეკომენდაცია მე-9

აფიქსირებს, დააფიქსირა – უმართებულოა ამ ზმნის გამოყენება **აღნიშნავს, ამბობს, განაცხადებს** სიტყვების მნიშვნელობით, მაგ., თავმჯდომარემ **დააფიქსირა**, რომ სხდომა ხუთ საათზე გაგრძელდებოდა; მინისტრმა კვლავ **დააფიქსირა**, რომ შეისწავლიდა ამ საკითხს და მისთ. უნდა იყოს: თავმჯდომარემ **განაცხადა**, რომ სხდომა ხუთ საათზე გაგრძელდებოდა; მინისტრმა კვლავ **აღნიშნა / განაცხადა**, რომ შეისწავლიდა ამ საკითხს... **აფიქსირებს** ზმნა აღნუსხვის მნიშვნელობით ბუნებრივია შემდეგი ტიპის კონტექსტში: მეცნიერმა არაერთი ანალოგიური / მსგავსი ფაქტი დააფიქსირა.



რეკომენდაცია მე-10

აქედან გამომდინარე – ზეპირ მეტყველებაში გამოთქმა **აქედან გამომდინარე** ხშირად უმართებულოდ გამოიყენება ამიტომ, ამის გამო სიტყვების მნიშვნელობით, მაგ.: მას რომ ამის გაკეთება არ შეუძლია, *აქედან გამომდინარე*, ჩვენც უნდა გავჩერდეთ? და მისთ. უნდა იყოს: მას რომ ამის გაკეთება არ შეუძლია, **ამიტომ / ამის გამო** ჩვენც უნდა გავჩერდეთ?



რეკომენდაცია მე-11

აქტორი – ეს სიტყვა პოლიტიკური ტერმინია და აღნიშნავს ერთეულს, რომელიც დამოუკიდებელ როლს თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობებში და წარმოდგენილია ცალკე სუბიექტად. თანამედროვე ქართულში **აქტორი** ხშირად გამოიყენება შემდეგი სახის კონტექსტებში: გახდი ამ ყოველდღიური მოვლენების მთავარი *აქტორი*; საფონდო ბირჟაზე გამოჩნდა ახალი *აქტორი*; ამ საქმის მთავარი *აქტორი* ხალხია და მისთ. დასახელებული სახის წინადადებებში სიტყვა **აქტორი** უმართებულოდ ჩაენაცვლა შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს: **მონაწილე, შემსრულებელი**. უნდა იყოს: გახდი ამ მოვლენების მთავარი **მონაწილე**; საფონდო ბირჟაზე გამოჩნდა ახალი **მონაწილე**; ამ საქმის მთავარი **მონაწილე / შემსრულებელი** ხალხია...



რეკომენდაცია მე-12

[აცრას იკეთებს, აცრა გაიკეთა კი არა] **იცრება, აიცრა.** დასახელებული მცდარი შესიტყვებანი (აცრას იკეთებს, აცრა გაიკეთა) **ვაქცინას გაიკეთებს, ვაქცინა გაიკეთა** სიტყვათშეხამებათა ანალოგიითაა გაჩენილი. **გაკეთება** ზმნასთან შესიტყვების წევრი უნდა იყოს არა მოქმედების გამომხატველი სიტყვა (აცრა), არამედ კონკრეტული არსებითი სახელი (ვაქცინა).



რეკომენდაცია მე-13

[ახდენს შეფასებას / რეგისტრაციას / გა-
ყიდვას... კი არა] **აფასებს, არეგისტრო-
რებს, ყიდის...**



რეკომენდაცია მე-14

ახმოვანებს – ხმოვანს ხდის (კინოფილმში პერსონაჟს). უმართებულოა **ახმოვანებს** ზმნის გამოყენება აზრის გამოთქმის ან გამოცხადების მნიშვნელობით, მაგ.: პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებას დღეს *გაახმოვანებს*; ოპოზიციამ ეს საკითხი გუშინ *გაახმოვანა* და მისთ. უ ნ დ ა ი ყ ო ს: პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებას დღეს (საჯაროდ) **გამოაცხადებს** / **განაცხადებს**; ოპოზიციამ ეს საკითხი გუშინ **აღნიშნა**...



რეკომენდაცია მე-15

[ახორციელებს შეტევას / შემოწმებას / მი-
ღებას... კ ი ა რ ა] **უტევს (შეტევაზე გადა-
დის – სპორტ.) / ამოწმებს / იღებს...**



რეკომენდაცია მე-16

ბანკი რესპუბლიკა – ამ ტიპის მსაზღვრელ-საზღვრული იბრუნვის შემდეგნაირად: მ ო თ ხ რ. **ბანკმა რესპუბლიკამ**; მ ი ც. **ბანკ რესპუბლიკას**; ნ ა თ. **ბანკ რესპუბლიკის**; მ ო ქ მ. **ბანკ რესპუბლიკით**; ვ ი თ. **ბანკ რესპუბლიკად**. შებრუნებული წყობის შემთხვევაში ფორმაცვალებადია მხოლოდ დანართი: ს ა ხ. **ქართუ ბანკი**, მ ო თ ხ რ. **ქართუ ბანკმა**, მ ი ც. **ქართუ ბანკს**, ნ ა თ. **ქართუ ბანკის**, მ ო ქ მ. **ქართუ ბანკით**, ვ ი თ. **ქართუ ბანკად...**



რეკომენდაცია მე-17

ბიზნესგეგმა [და არა ბიზნეს-გეგმა,
ბიზნეს გეგმა]

ბიზნესკლასი [და არა ბიზნეს-კლასი,
ბიზნეს კლასი]

ბიზნესპარტნიორი [და არა ბიზნეს-
პარტნიორი, ბიზნეს პარტნიორი]

ბიზნესსკოლა [და არა ბიზნეს-სკოლა,
ბიზნეს სკოლა]

ბიზნესცენტრი [და არა ბიზნეს-ცენ-
ტრი, ბიზნეს ცენტრი]



რეკომენდაცია მე-18

ბოდიში [და არა ბოდიშით] – ზეპირ მეტყველებაში თავაზიანობის ელფერის წარმოსაჩენად ხშირად ამბობენ ხოლმე: **ბოდიშით** (*ბოდიშით*, დამაგვიანდა; *ბოდიშით*, ვერ გავიგე...), რაც უმართებულოა. თავაზიანობის გამოსახატავად ქართულში იხმარება ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმები **თ** დაბოლოებით (მაპატიეთ, მიიღეთ, მოგვწერეთ და მისთ.). სიტყვაში „ბოდიშით“ **თ** ამგვარ ზმნურ ფორმათა ანალოგიით არის გაჩენილი. **ბოდიში** არსებითი სახელია, ამიტომ მასთან ზმნური სუფიქსის გამოყენება დაუშვებელია. თავაზიანობის გამოსახატავად შეიძლება გამოვიყენოთ **მაპატიეთ** ან შესიტყვება: **ბოდიშს გიხდით**.



რეკომენდაცია მე-19

გავდივართ – ჟურნალისტთა მეტყველებაში ხშირად ისმის: *რეკლამაზე გავდივართ; გავდივართ ანიმაციურ ფილმზე* და მისთ. უნდა იყოს: ახლა (ეთერში) **რეკლამის დროა / რეკლამა ჩვენს ეთერში**; ახლა **წარმოგიდგენთ (გიჩვენებთ)** ანიმაციურ ფილმს...



რეკომენდაცია მე-20

[გამოსასვლელი დღე / ტანსაცმელი კი
არა] **დასვენების / უქმე დღე; საგარეო / სა-
დღესასწაულო ტანსაცმელი**



რეკომენდაცია 21-ე

[გასასამართლებელი საბუთი / მიზეზი
კი არა] **გასამართლებელი საბუთი / მიზე-**
ზი, მაგრამ მართებულა: გასასამართ-
ლებელი პირი (ვინც უნდა გაასამართლონ)



რეკომენდაცია 22-ე

[გეგმიური კი არა] – **გეგმური**



რეკომენდაცია 23-ე

[გოლის ავტორი]: სიტყვა ავტორი აღნიშნავს რაიმე ნაწარმოების (ლიტერატურულის, მუსიკალურის...) შემქმნელს, გამომგონებელს. ბუნებრივი შესიტყვებებია: ლექსის / ოპერის / სიმღერის / სტატიის **ავტორი**. სასპორტო რეპორტაჟებისას ხშირად ისმის: გატანილი *გოლის ავტორია* მესი / კვარაცხელია / ლევანდოვსი... უნდა იყოს: **გოლი გაიტანა მესიმ / კვარაცხელიამ / ლევანდოვსიმ...**



რეკომენდაცია 24-ე

დემონსტრაციული [და არა დემონსტრაციული] – **დემონსტრაციული** ნაწარმოებია სიტყვისაგან **დემონსტრაცია** -ულ (← -ურ) სუფიქსის დართვით.

დემონსტრაციულად [და არა დემონსტრაციულად] (დატოვა დარბაზი)



რეკომენდაცია 25-ე

ეპიდემიური – ეპიდემიოლოგიური: თანამედროვე მეტყველებაში ეს სიტყვები ხშირად ერთმანეთში ირევა. ამბობენ: *ეპიდემიოლოგიური ვითარება / მდგომარეობა*, რაც უმართებულოა. დასახელებულ ლექსიკურ ერთეულებს განსხვავებული მნიშვნელობები აქვს: **ეპიდემიური** = ეპიდემიისთვის დამახასიათებელი, ეპიდემიასთან დაკავშირებული (**ეპიდემიური დაავადებანი**); **ეპიდემიოლოგიური** = ეპიდემიოლოგიასთან (მედიცინის დარგთან) **დაკავშირებული, ეპიდემიოლოგიისათვის განკუთვნილი (ეპიდემიოლოგიური კვლევა, ეპიდემიოლოგიური ლაბორატორია)**. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში უნდა იყოს: **ეპიდემიური ვითარება / მდგომარეობა...**



რეკომენდაცია 26-ე

ესე იგი (ე. ი.) – იხმარება მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების ან წინადადებების დასაკავშირებლად, მაგ., „ლოცვის შემდეგ პირს გავისველებდით, **ე. ი.** რასმე ვისაუზმებდით“ (აკაკი)... ზეპირ მეტყველებაში ხშირად საუბარს იწყებენ **ესე იგი** კავშირით, რაც დაუშვებელია, მაგ.: ლუკა, განმარტე, რა არის არსებითი სახელი? – *ესე იგი* არსებითი სახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს...



რეკომენდაცია 27-ე

ვერც ერთი... ვერც მეორე / მესამე... [და არა ვერცერთი... ვერც მეორე / მესამე...] – თუ **ვერც ერთს** მოსდევს **ვერც მეორე / მესამე...**, მაშინ **ვერც ერთი** დაიწერება ცალ-ცალკე: **ვერც ერთს** ენდობა კაცი და ვერც მეორეს; **ვერც ერთმა** გაბედა და **ვერც მეორემ** და მისთ. ყველა სხვა შემთხვევაში **ვერცერთი** დაიწერება ერთად: **ვერცერთი** პირობა ვერ შესრულდა; **ვერცერთმა** სტუდენტმა ვერ მიიღო უმაღლესი ქულა...



რეკომენდაცია 28-ე

[ვიბეჭდები ჟურნალში კ ი ა რ ა] **ვბეჭდავ**
ჟურნალში სტატიას ან **იბეჭდება** ჟურნალში
ჩემი სტატია.



რეკომენდაცია 29-ე

ვიდეოკლიპი [და არა ვიდეო-კლიპი,
ვიდეო კლიპი]

ვიდეომასალა [და არა ვიდეო-მასალა,
ვიდეო მასალა]

ვიდეოპატრული [და არა ვიდეო-პატ-
რული, ვიდეო პატრული]

ვიდეოპორტალი [და არა ვიდეო-პორ-
ტალი, ვიდეო პორტალი]

ვიდეორგოლი [და არა ვიდეო-რგოლი,
ვიდეო რგოლი]



რეკომენდაცია 30-ე

[ვკონკრეტდები კი არა] **ვაკონკრეტებ**
(ამა თუ იმ საკითხს)

[ვმეორდები კი არა] **ვიმეორებ** (ნათქვამს)



რეკომენდაცია 31-ე

[კავშირზე არ გამოვიდა კოორდინატორი] **არ დაგვიკავშირდა / დამიკავშირდა**



რეკომენდაცია 32-ე

კარგი [და არა კარგით] – ამ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და მათ შორის ერთ-ერთია **თანხმობის გამოხატვა**. ზეპირ მეტყველებაში კარგის ამ ფუნქციით ხმარებისას (თავაზიანობის ელფერის შესამატებლად) ხშირად ამბობენ – **კარგით**, მაგ., *კარგით*, აუცილებლად მოვალ; *კარგით*, დაგირეკავთ... ამ სიტყვაში **თ** ბოლოსართი ზმნის მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსის ანალოგიითაა გაჩენილი, ამიტომ **კარგით** უმართებულო ფორმაა.



რეკომენდაცია 33-ე

კიბერდანაშაული [და არა კიბერ-დანაშაული, კიბერ დანაშაული]

კიბერთავდასხმა [და არა კიბერ-თავდასხმა, კიბერ თავდასხმა]

კიბერუსაფრთხოება [და არა კიბერ-უსაფრთხოება, კიბერ უსაფრთხოება]

კიბერშეტევა [და არა კიბერ-შეტევა, კიბერ შეტევა]



რეკომენდაცია 34-ე

კოვიდ-19 – სიტყვებს, რომელთა მეორე ნაწილი არაბული ციფრებითაა წარმოდგენილი, ბოლოსართები (ბრუნვის ნიშნები, თანდებულები, წარმომქმნელი აფიქსები და სხვ.) დეფისით გამოეყოფა: კოვიდ-19-ს, კოვიდ-19-ის, კოვიდ-19-ით... კოვიდ-19-ზე, კოვიდ-19-იანი...



რეკომენდაცია 35-ე

კოვიდპანდემია [და არა კოვიდ-
პანდემია, კოვიდ პანდემია]

კოვიდპასპორტი [და არა კოვიდ-
პასპორტი, კოვიდ პასპორტი]

კოვიდრეგულაცია [და არა კოვიდ-
რეგულაცია, კოვიდ რეგულაცია]

კოვიდსასტუმრო [და არა კოვიდ-
სასტუმრო, კოვიდ სასტუმრო]

კოვიდსერტიფიკატი [და არა კო-
ვიდ-სერტიფიკატი, კოვიდ სერტიფიკა-
ტი]



რეკომენდაცია 36-ე

კომუნიკაცია (= 1. ურთიერთობა; 2. ურთიერთობის, კავშირის საშუალება) – ეს სიტყვა თანამედროვე ქართულში უმართებულოდ გამოიყენება შემდეგი ლექსიკური ერთეულების ნაცვლად: **შეხვედრა, მოლაპარაკება, მსჯელობა...** მაგალითად: გუშინ, 12 საათზე, გვქონდა *კომუნიკაცია* სხვადასხვა მხარის წარმომადგენლებთან; ხანგრძლივი *კომუნიკაციის* შემდეგ ეს პრობლემაც გადაიჭრა; ჩვენი *კომუნიკაცია* უშედეგოდ დასრულდა და მისთ. უ ნ დ ა ი ყ ო ს: გუშინ, 12 საათზე, გვქონდა **შეხვედრა** სხვადასხვა მხარის წარმომადგენლებთან; ხანგრძლივი **მოლაპარაკების / მსჯელობის** შემდეგ ეს პრობლემაც გადაიჭრა; ჩვენი **შეხვედრა** უშედეგოდ დასრულდა...



რეკომენდაცია 37-ე

[კონკრეტიკა კ ი ა რ ა] **კონკრეტულობა, კონკრეტიზაცია, დაკონკრეტება** – თანამედროვე ქართულში გავრცელდა უმართებულო სიტყვა *კონკრეტიკა* შემდეგი ლექსიკური ერთეულების ნაცვლად: **კონკრეტულობა, კონკრეტიზაცია, დაკონკრეტება**, მაგ., მსჯელობას *კონკრეტიკა* აკლია; მეტი *კონკრეტიკა*აა საჭირო; ფაქტებს *კონკრეტიკა* სჭირდება და მისთ. უნ და ი ყ ო ს: მსჯელობას **კონკრეტიზაცია / კონკრეტულობა** აკლია; მეტი **კონკრეტიზაციაა / კონკრეტულობაა** საჭირო; ფაქტებს **დაკონკრეტება / კონკრეტიზაცია** სჭირდება...



რეკომენდაცია 38-ე

კორონა (კორონის`ა`) – ა-ზე ფუძედაბოლოებული არსებითი სახელები ქართულში, ჩვეულებრივ, იკვეცება. უკვეცელია მხოლოდ ადამიანთა საკუთარი სახელები (ნანა, ლუკა, ანა...) და ა სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები (მაგ., წითელა, ქერა, შავთვალა, სამფეხა, გრძელნისკარტა და მისთ.). შესაბამისად, უცხო ენიდან შემოსული ა-ზე დაბოლოებული არსებითი სახელებიც (ადამიანთა საკუთარი სახელების გარდა) უნდა შეიკვეცოს. ამიტომ გვექნება: **კორონის** [და არა კორონას] საწინააღმდეგო ვაქცინა; დაავადდა **კორონით** [და არა კორონათი]...



რეკომენდაცია 39-ე

კორონავირუსი [და ა რ ა კორონა-ვი-
რუსი, კორონა ვირუსი]

კორონაინფექცია [და ა რ ა კორონა-ინ-
ფექცია, კორონა ინფექცია]



რეკომენდაცია მე-40

კორპორაციული [და ა რ ა კორპორატი-
ული] (საღამო / მომსახურება...) – **კორპორა-
ციული** ნაწარმოებია სიტყვისაგან **კორპორა-
ცია -ულ** (← **-ურ**) სუფიქსის დართვით.



რეკომენდაცია 41-ე

კრიმინალი – თანამედროვე ქართულში სიტყვა **კრიმინალი** ხშირად გამოიყენება **დამნაშავეს** მნიშვნელობით, რაც უმართებულოა. მაგ.: არცერთი მათგანი არ იყო *კრიმინალი*; ორი *კრიმინალი* დაიჭირეს; ქალაქში *კრიმინალები* მომრავლდნენ და მისთ. **კრიმინალი** ნიშნავს სისხლის სამართლის დანაშაულს (და არა დამნაშავეს). უნდა იყოს: არცერთი მათგანი არ იყო **დამნაშავე**; ორი **დამნაშავე** დაიჭირეს; ქალაქში **დამნაშავეები** მომრავლდნენ... მაგრამ მართებულა: **კრიმინალი** გახშირდა; **კრიმინალის** რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა და სხვ.



რეკომენდაცია 42-ე

ლექსი „განთიადი“ – თუ ნაწარმოების სათაური წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, მისი ფუძეთანხმოვნიანი მსაზღვრელი (დანართი) სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, დანარჩენ ბრუნვებში კი ფუძის სახით შეეწყობა საზღვრულს (სათაურს): **ლექსი „განთიადი“**, **ლექსმა „განთიადმა“**, **ლექს „განთიადს“** / **„განთიადის“** / **„განთიადით“** / **„განთიადად“** ...



რეკომენდაცია 43-ე

ლექსი „უსიყვარულოდ“, მოთხრობა „სარჩობელაზედ“ – თუ ნაწარმოების სათაური არ არის წარმოდგენილი სახელობითი ბრუნვის ფორმით, აფიქსებს დაირთავს მხოლოდ დანართი (მსაზღვრელი სახელი) – ფუძეთანხმოვნიანიცა და ფუძეხმოვნიანიც: **ლექსი / ლექსმა / ლექსს / ლექსის / ლექსით / ლექსში / ლექსიდან... „უსიყვარულოდ“; მოთხრობა / მოთხრობამ / მოთხრობას / მოთხრობის / მოთხრობით / მოთხრობაში / მოთხრობიდან... „სარჩობელაზედ“...**



რეკომენდაცია 44-ე

[მარხვაზე კი არა] **მარხულობს, მარხვას ინახავს**



რეკომენდაცია 45-ე

მაცხოვრებელი – მცხოვრები: თანამედროვე ქართულში სიტყვა **მცხოვრების** ნაცვლად ხშირად უმართებულოდ გამოიყენება **მაცხოვრებელი**: რამდენი *მაცხოვრებელია* ქალაქში? უნდა იყოს: რამდენი **მცხოვრებია** ქალაქში? (**მაცხოვრებელი** = ვინც ვინმეს აცხოვრებს; **მცხოვრები** = ის, ვინც ცხოვრობს).



რეკომენდაცია 46-ე

[მეორეც ერთი... მესამეც ერთი... კ ი ა რ ა]
მეორე(ც)... **მესამე(ც)...** – თანამედროვე ქართულში **ჯერ ერთი** გამოთქმის შემდეგ ხშირად უმართებულოდ გამოიყენება **მეორეც ერთი, მესამეც ერთი**. მაგ.: *ჯერ ერთი*, დააგვიანდა, *მეორეც ერთი*, ბოდიში არ მოიხადა, *მესამეც ერთი*, დავალება შესრულებული არ ჰქონდა და მისთ. უ ნ დ ა ი ყ ო ს: **ჯერ ერთი**, დააგვიანდა, **მეორე(ც)** – ბოდიში არ მოიხადა, **მესამე(ც)** – დავალება შესრულებული არ ჰქონდა...



რეკომენდაცია 47-ე

მიდის – თანამედროვე მეტყველებაში ხშირად ისმის: სხდომა სამი საათი *მიდიოდა*; ფესტივალი ორი კვირა *მიდიოდა*. დასახელებული ტიპის კონტექსტებში უმართებულოა **მიდის** ზმნის გამოყენება **გრძელდება**, **მიმდინარეობს** სიტყვათა მნიშვნელობით. უნდა იყოს: სხდომა სამ საათს **გრძელდებოდა** / **მიმდინარეობდა**; ფესტივალი ორი კვირა **გრძელდებოდა**...



რეკომენდაცია 48-ე

მიმართებაში – ეს ფორმა ხშირად უმართებულოდ გამოიყენება გარკვეულ კონტექსტებში. მის ნაცვლად უნდა იყოს: **მიმართებით / შესახებ / დაკავშირებით**. მაგ., რას გვეტყვით პრეზიდენტთან მიმართებაში? გამყარდა ლარის კურსი დოლართან მიმართებაში; განიხილეს კანონპროექტი ფინანსურ საკითხებთან მიმართებაში; რას ფიქრობენ ეპიდემიოლოგები სკოლებთან მიმართებაში; იმსჯელეს ამ საკითხთან მიმართებაში და მისთ. უნდა იყოს: გამყარდა ლარის კურსი დოლართან **მიმართებით**; განიხილეს კანონპროექტი ფინანსურ საკითხებთან **მიმართებით / დაკავშირებით**; რას ფიქრობენ ეპიდემიოლოგები სკოლებთან **დაკავშირებით**; იმსჯელეს **ამ საკითხის შესახებ / ამ საკითხთან დაკავშირებით...**



რეკომენდაცია 49-ე

[*მოაბილიზა კი არა*] **მობილიზაცია** **განახორციელა / მობილიზებულია** (მის მიერ). თანამედროვე ქართულში არცთუ იშვიათად გვხვდება **მოაბილიზა** ზმნა შემდეგი ტიპის კონტექსტებში: ყველა ძალა *მოაბილიზა*; მოსახლეობა *მოაბილიზეს* და მისთ. „მოაბილიზა“ **მობილიზება** სახელზმნის მცდარი პირიანი ფორმაა. **მობილიზება** ლათინური წარმომავლობის სიტყვაა (ინგლ. Mobilization, ფრანგ. Mobilmachung, რუს. Мобилизация), რომლის პირველი მარცვლი **მო** უმართებულოდ მიიჩნევა ქართულ **მო** ზმნისწინად. უნ და იყო ს: **განახორციელა / განხორციელდა** ყველა ძალის **მობილიზაცია / მობილიზება**, ან კიდევ: ყველა ძალა **მობილიზებულია** (მის მიერ); **განახორციელეს / განხორციელდა** მოსახლეობის **მობილიზაცია / მობილიზება**, ან კიდევ: მოსახლეობა **მობილიზებულია** (მათ მიერ)...



რეკომენდაცია 50-ე

მოუყვა (ის მას მას) [და არა მან მას ის]
– მოუყვა **დედა შვილს ზღაპარს** [და არა
მოუყვა დედამ შვილს ზღაპარი], მაგრამ
მართებულია: **დედამ შვილს ზღაპარი**
უამბო.



რეკომენდაცია 51-ე

მოღვაწეობს – თანამედროვე მეტყველებაში ხშირად ვხვდებით შემდეგი სახის კონტექსტებს: გიორგი მძლოლად *მოღვაწეობს*; ნინო ორი წელია სკოლაში *მოღვაწეობს*... ასეთ შემთხვევებში შეუფერებელია რაიმეს კეთებისა თუ შრომითი საქმიანობის გამოსახატავად **მოღვაწეობს** ზმნის გამოყენება – ნაცვლად სტილისტიკურად ნეიტრალური **მუშაობს** ლექსიკური ერთეულისა. **მოღვაწეობს** უნდა გამოვიყენოთ ისეთი ადამიანების შრომითი საქმიანობის აღსანიშნავად, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მაგ.: ილია ჭავჭავაძე **მოღვაწეობდა** XIX საუკუნის მეორე ნახევარში.



რეკომენდაცია 52-ე

მოხდება, მოხდა – ზეპირ და წერით მეტყველებაში ხშირად დასტურდება შემდეგი სახის შესიტყვებები: მისი დაკავება მოხდა უსამართლოდ; მოხდა მოქალაქეთა ალყაში მოქცევა და დარბევა; მოხდა როლების გადანაწილება; მოხდა თამაშის განახლება და მისთ. **მოხდება** ზმნასთან დაუშვებელია შესიტყვების წევრად მოქმედების სახელის (დაკავება, მოქცევა, დარბევა, გადანაწილება, განახლება...) გამოყენება. ასეთ შემთხვევებში იხმარება ამ მოქმედების სახელთა პირიანი ფორმები. უ ნ დ ა ი ყ ო ს: იგი უსამართლოდ **დააკავეს**; მოქალაქეები ალყაში **მოაქციეს** და **დაარბიეს**; როლები გადანაწილდა; თამაში **განახლდა**. მ ა გ რ ა მ მ ა რ თ ე ბ უ ლ ი ა: რა **მოხდა?** ეს ამბავი დიდი ხნის წინ **მოხდა**...



რეკომენდაცია 53-ე

მრევლი – ეს სიტყვა კრებითი სახელია. უმართებულოა მისი გამოყენება ერთი პირის აღსანიშნავად. მ ა რ თ ე ბ უ ლ ი ა: ეკლესიაში **მრევლი** შეიკრიბა და მისთ. უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო ა: მე მამა გიორგის **მრევლი** ვარ; ნინო ჩვენი **მრევლია** და სხვ. უ ნ დ ა ი ყ ო ს: მე მამა გიორგის **მრევლის წევრი ვარ**; ნინო ჩვენი **მრევლის წევრია**...



რეკომენდაცია 54-ე

ნარკობიზნესი [და არა ნარკო-ბიზნესი, ნარკო ბიზნესი]

ნარკოდამნაშავე [და არა ნარკო-დამნაშავე, ნარკო დამნაშავე]

ნარკოდანაშაული [და არა ნარკო-დანაშაული, ნარკო დანაშაული]

ნარკოტესტი [და არა ნარკო-ტესტი, ნარკო ტესტი]



რეკომენდაცია 55-ე

ნოტარიატი – ნოტარიუსი: თანამედროვე მეტყველებაში ხშირად სიტყვა **ნოტარიატის** ნაცვლად იყენებენ **ნოტარიუსს**: *ნოტარიუსში* მივდივარ; ის გუშინ დაიბარეს *ნოტარიუსში* და მისთ. უნდა იყოს: **ნოტარიატში** მივდივარ; ის გუშინ დაიბარეს **ნოტარიატში**. ამ ორ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: **ნოტარიატი** არის ორგანო, რომლის დანიშნულებაა იურიდიული აქტების დამოწმება, **ნოტარიუსი** კი პირია, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული იურიდიული აქტების დამოწმებისა და გაფორმების უფლება.



რეკომენდაცია 56-ე

პიარგეგმა [და ა რ ა პიარ-გეგმა, პიარ
გეგმა]

პიარმენეჯერი [და ა რ ა პიარ-მენეჯე-
რი, პიარ მენეჯერი]

პიარსააგენტო [და ა რ ა პიარ-სააგენტო,
პიარ სააგენტო]

პიარსამსახური [და ა რ ა პიარ-სამსახუ-
რი, პიარ სამსახური]



რეკომენდაცია 57-ე

პირველი: 1-ელი, 1-ელმა, 1-ელს...
1-ელში, 1-ელზე... [და არა 1-ლი, 1-ლმა,
1-ლს... 1-ლში, 1-ლზე...]



რეკომენდაცია 58-ე

პოლიტიზება [და არა პოლიტიზირება]

პოლიტიზებული [და არა პოლიტიზირებული]



რეკომენდაცია 59-ე

პროტეჟე – პროტექტორი: თანამედროვე მეტყველებაში სიტყვა **პროტექტორის** ნაცვლად ხშირად იყენებენ **პროტეჟეს**, რაც უმართებულოა: **პროტეჟე** = პროტექციის ობიექტი, ვისაც მფარველობენ – და არა ის, ვინც მფარველობს; **პროტექტორი** = მფარველი, დამცველი, შემწე.



რეკომენდაცია მე-60

რამეთუ – ძველი ქართულიდან მომდინარე **რამეთუ** სიტყვის (კავშირის) გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სტილიზაციის მიზნით, მაგ., პოეზიაში, საერთოდ, ზეაწეული სტილით დაწერილ ტექსტში – და არა ყოველდღიურ მეტყველებაში (**რადგან** და **ვინაიდან** კავშირების ნაცვლად). სტილური თვალსაზრისით უმართებულოა: ოპოზიციის შენიშვნებს ვერ გავიზიარებთ, *რამეთუ* ისინი სიმართლეს არ შეესაბამება; მოწოდებული ინფორმაცია მისაღებია, *რამეთუ* ყველა დეტალი შემოწმდა და მისთ. უნდა იყოს: ოპოზიციის შენიშვნებს ვერ გავიზიარებთ, **რადგან** / **ვინაიდან** ისინი სიმართლეს არ შეესაბამება; მოწოდებული ინფორმაცია მისაღებია, **რადგან** / **ვინაიდან** ყველა დეტალი შემოწმდა...



რეკომენდაცია 61-ე

რეალისტური – რეალური: თანამედროვე ქართულში სიტყვა **რეალისტურმა** ფაქტობრივად ჩაანაცვლა ლექსიკური ერთეული **რეალური**, რაც უმართებულოა. ზეპირ თუ წერით მეტყველებაში ყოველდღიურად გვხვდება შემდეგი სახის კონტექსტები: აღწერეს *რეალისტური* მდგომარეობა; წამოაყენეს *რეალისტური* მოთხოვნები; მსჯელობდნენ *რეალისტურ* საფრთხეზე და მისთ. უნდა იყოს: **რეალური** მდგომარეობა; **რეალური** მოთხოვნები; **რეალური** საფრთხე... ამ ორ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: **რეალისტური** = მხატვრული შემეცნების მეთოდისათვის – რეალიზმისათვის – დამახასიათებელი: მწერლის **რეალისტური** ხედვა; **რეალური** = 1. ნამდვილად არსებული, ჭეშმარიტი; 2. რისი განხორციელებაც შესაძლებელია; 3. ნამდვილი პირობების შესაბამისი, პრაქტიკულად არსებული.



რეკომენდაცია 62-ე

[რეჟიმში მუშაობა კ ი ა რ ა] **რეჟიმით მუშაობა** – ზეპირ და წერით მეტყველებაში გავრცელებულია შემდეგი სახის შესიტყვებანი: *ვმუშაობთ* დიალოგურ *რეჟიმში*; პარალელურ *რეჟიმში* აგრძელებენ *მუშაობას*; საავტომობილო დეპარტამენტი საგანგებო *რეჟიმში მუშაობს* და სხვ. დასახელებული ტიპის სიტყვათშეხამებანი უმართებულოა. მსგავს კონტექსტებში **რეჟიმი** ნიშნავს ცხოვრების, შრომის და მისთ. მტკიცედ დადგენილ განაწესს, წესს. ესა თუ ის ქმედება უნდა შესრულდეს გარკვეული **განაწესით**, **წესით** და არა „განაწესში“, „წესში“, შესაბამისად, უნდა იყოს: *ვმუშაობთ* დიალოგური **წესით** / **რეჟიმით**; პარალელური **წესით** / **რეჟიმით** აგრძელებენ *მუშაობას*; საავტომობილო დეპარტამენტი საგანგებო **წესით** / **რეჟიმით** მუშაობს...



რეკომენდაცია 63-ე

რესურსოთახი [და ა რ ა რესურს-ოთახი, რესურს ოთახი]

რესურსპარკი [და ა რ ა რესურს-პარკი, რესურს პარკი]

რესურსცენტრი [და ა რ ა რესურს-ცენტრი, რესურს ცენტრი]



რეკომენდაცია 64-ე

[სახეზეა კი არა] **არის, იმყოფება, აშკარაა...** თანამედროვე ქართულში ხშირად გვხვდება შემდეგი სახის კონტექსტები: ყველა დეპუტატი *სახეზეა*; შედეგი *სახეზეა*; ფაქტი *სახეზეა* და მისთ. უნდა იყოს: ყველა დეპუტატი აქ **არის / იმყოფება**; შედეგი **აშკარაა / ნათელია / ჩანს**; ფაქტი **აშკარაა / ნათელია...**



რეკომენდაცია 65-ე

[სენსიტიური კი არა] მგრძნობიარე,
მგრძნობელობითი, გრძნობითი, შეგრძნებ-
თი, ფაქიზი



რეკომენდაცია 66-ე

სერვისექსპერტი [და ა რ ა სერვის-ექსპერტი, სერვის ექსპერტი]

სერვისმენეჯერი [და ა რ ა სერვის-მენეჯერი, სერვის მენეჯერი]

სერვისცენტრი [და ა რ ა სერვის-ცენტრი, სერვის ცენტრი]



რეკომენდაცია 67-ე

ტელე- და რადიოგადაცემა [და არა ტელე და რადიოგადაცემა, ტელე და რადიოგადაცემა]

ტელე- და რადიოსიუჟეტი [და არა ტელე და რადიოსიუჟეტი, ტელე და რადიოსიუჟეტი]

ტელე- და რადიოწამყვანი [და არა ტელე და რადიოწამყვანი, ტელე და რადიოწამყვანი]



რეკომენდაცია 68-ე

ტელეარხი [და არა ტელე-არხი, ტელე არხი]

ტელეგადაცემა [და არა ტელე-გადაცემა, ტელე გადაცემა]

ტელევარსკვლავი [და არა ტელე-ვარსკვლავი, ტელე ვარსკვლავი]

ტელეინდუსტრია [და არა ტელე-ინდუსტრია, ტელე ინდუსტრია]

ტელეკომპანია [და არა ტელე-კომპანია, ტელე კომპანია]

ტელესერიალი [და არა ტელე-სერიალი, ტელე სერიალი]

ტელეწამყვანი [და არა ტელე-წამყვანი, ტელე წამყვანი]



რეკომენდაცია 69-ე

უნებლიედ [და არა უნებლიეთ]: **უნებლიეთ** ფორმა მართებულია მხოლოდ ტრადიციულად დამკვიდრებულ გამოთქმაში – „ნებსით თუ უნებლიეთ“.



რეკომენდაცია 70-ე

[ფიგურანტი კ ი ა რ ა] **მონაწილე** – ეს სიტყვა (ფიგურანტი) თანამედროვე მეტყველებაში ხშირად გამოიყენება შემდეგი სახის კონტექსტებში: ის სისხლის სამართლის საქმის *ფიგურანტი* იყო; ამ გახმაურებული საქმის *ფიგურანტი* სამსახურიდან გაათავისუფლეს; საქმეში ახალი *ფიგურანტი* გამოჩნდა; მკვლელობის ერთ-ერთი მთავარი *ფიგურანტი* დაკავებულია; ყველა *ფიგურანტის* პასუხისმგებლობის საკითხი დადგება დამსთ. უნ და იყო ს: ის სისხლის სამართლის საქმის **მონაწილე** იყო; ამ გახმაურებული საქმის **მონაწილე** სამსახურიდან გაათავისუფლეს; საქმეში ახალი **მონაწილე** გამოჩნდა; მკვლელობის ერთ-ერთი მთავარი **მონაწილე** დაკავებულია; ყველა **მონაწილის** პასუხისმგებლობის საკითხი დადგება...



რეკომენდაცია 71-ე

ფიტნესდარბაზი [და არა ფიტნეს-დარბაზი, ფიტნეს დარბაზი]

ფიტნესინსტრუქტორი [და არა ფიტნეს-ინსტრუქტორი, ფიტნეს ინსტრუქტორი]

ფიტნესკლუბი [და არა ფიტნეს-კლუბი, ფიტნეს კლუბი]

ფიტნესცენტრი [და არა ფიტნეს-ცენტრი, ფიტნეს ცენტრი]



რეკომენდაცია 72-ე

ფოტოალბომი [და არა ფოტო-ალბომი, ფოტო ალბომი]

ფოტოგადაღება [და არა ფოტო-გადაღება, ფოტო გადაღება]

ფოტოგამოფენა [და არა ფოტო-გამოფენა, ფოტო გამოფენა]

ფოტოეტიუდი [და არა ფოტო-ეტიუდი, ფოტო ეტიუდი]

ფოტოკამერა [და არა ფოტო-კამერა, ფოტო კამერა]

ფოტოკონკურსი [და არა ფოტო-კონკურსი, ფოტო კონკურსი]

ფოტოჟურნალისტი [და არა ფოტო-ჟურნალისტი, ფოტო ჟურნალისტი]

ფოტორეპორტიორი [და არა ფოტო-რეპორტიორი, ფოტო რეპორტიორი]

ფოტოხელოვნება [და არა ფოტო-ხელოვნება, ფოტო ხელოვნება]



რეკომენდაცია 73-ე

[შედეგი დადო კ ი ა რ ა] **შედეგი მიიღო // შედეგს მიაღწია** – თანამედროვე ქართულში **შედეგი მიიღო // შედეგს მიაღწია** შესიტყვებანი ფაქტობრივად ჩანაცვლდა სიტყვათშეხამებით **შედეგი დადო**, მაგ.: მთავრობამ საუკეთესო *შედეგი დადო*; პარტიამ ძალიან მნიშვნელოვანი *შედეგები დადო*; მკვლევრებმა ახალი *შედეგები დადეს* და მისთ. ქართულისათვის ბუნებრივი შესიტყვებაა არა **შედეგის დადება**, არამედ – **შედეგის მიღება // შედეგის მიღწევა**. უნდა იყოს: მთავრობამ საუკეთესო **შედეგს მიაღწია**; პარტიამ ძალიან მნიშვნელოვან **შედეგებს მიაღწია**; მკვლევრებმა ახალი **შედეგები მიიღეს**...



რეკომენდაცია 74-ე

[ჩამოვყალიბდეთ ამ საკითხთან დაკავშირებით კი არა] **ჩამოვყალიბოთ მოსაზრება / აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მართებულა: ის კარგ მსახიობად / სპორტსმენად... ჩამოვყალიბდება...**



რეკომენდაცია 75-ე

ჩანიშნულია სხდომა / ბრიფინგი / შეხვედრა... – ამ სახის სიტყვათშეხამებანი თანამედროვე მეტყველებაში ერთგვარ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებად იქცა და ნიშნავს: ნავარაუდევია, ივარაუდება // დაგეგმილია, იგეგმება, მაგრამ – თუ ამ სხდომის / ბრიფინგის / შეხვედრის დრო ზუსტად არის განსაზღვრული, მაშინ უნდა გამოვიყენოთ **დანიშნულია**, მაგ.: სხდომა / ბრიფინგი / შეხვედრა **დანიშნულია** ხუთშაბათს, 14.00 საათზე.



რეკომენდაცია 76-ე

[წარმოებს გაყიდვა, შემოტანა, დამზადება
კ ი ა რ ა] **იყიდება / შემოაქვთ / მზადდება...**



რეკომენდაცია 77-ე

[წინააღმდეგობაში მოდის ამ თვალსაზრისთან კ ი ა რ ა] **ეწინააღმდეგება** ამ თვალსაზრისს.



რეკომენდაცია 78-ე

ხილ-ბოსტნეული [და ა რ ა ხილ-ბოს-
ტანი]



რეკომენდაცია 79-ე

[**ხსოვნის დავიწყება კი არა**] **სახელის დავიწყება** – თანამედროვე მეტყველებაში ხშირად გამოიყენება უმართებულო შესიტყვება **ხსოვნის დავიწყება**, მაგ.: არასოდეს *დავივიწყებთ* მის *ხსოვნას*, უნდა იყოს: არასოდეს **დავივიწყებთ** მას / მის სახელს; მუდამ **გვემახსოვრება** მისი სახელი...



რეკომენდაცია მე-80

ჯანმო (მ ო თ ხ რ. ჯანმომ, მ ი ც. ჯანმოს,
ნ ა თ. ჯანმოსი...) – ჯანმრთელობის მსოფ-
ლიო ორგანიზაცია

